

## მარტივი, სწრაფი, განახლებული ინტერნეტბანკი!

ინტერნეტბანკი არის თქვენი საბანკო ანგარიშების მართვის თანამედროვე, მოხერხებული და უსაფრთხოსისტემა. ელექტრონული საბანკო მომსახურებით თქვენ შეძლებთ მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან, 24 საათის განმავლობაში, აკონტროლოთ და თვალი ადევნოთ თქვენს ანგარიშებზე ბრუნვებს, გადაიხადოთ კომუნალური და საკომუნიკაციო გადასახადები, გადარიცხოთ თანხა ლარსა და უცხოურ ვალუტაში ნებისმიერი მიმართულებით!

**ბაზისბანკი გთავაზობთ ინტერნეტბანკით მომსახურების 2 პაკეტს:**

„საინფორმაციო“ პაკეტი

„სტანდარტული“ პაკეტი

**ინტერნეტბანკის “საინფორმაციო“ პაკეტით მომსახურება უფასოა, მისი საშუალებით თქვენ შეძლებთ:**

- საკუთარ ანგარიშებზე (მიმდინარე, საბარათე, საანაბრე, სასესხო) ბალანსის შემოწმებას;
- ბარათებზე ხელმისაწვდომი და დაბლოკილი თანხების ნახვას;
- თქვენი ანგარიშებიდან ამონაწერის ამოღებას, ჩარიცხვისა და გადარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტების ამობეჭდვას;
- ბანკის კომერციული და ოფიციალური ვალუტის კურსების შემოწმებას, როგორც მიმდინარე, ასევე, გასული პერიოდის;
- ანგარიშის რეკვიზიტების ამობეჭდვას;
- ამონაწერის PDF ფორმატში ამობეჭდვას, ჩარიცხვებისა და გადარიცხვების ფილტრაციას და მის გადატანას ექსელ ფორმატში.
- სერვისცენტრებისა და ბანკომატების შესახებ;
- პერსონალური შეთავაზების ათვისებას;
- თავად გაიაქტიუროთ „სტანდარტული“ პაკეტი ან კვლავ დაბრუნდეთ “საინფორმაციო“ პაკეტზე

**ინტერნეტ ბანკის „სტანდარტული“ პაკეტის საშუალებით თქვენ შეძლებთ განახორციელოთ:**

- „საინფორმაციო“ პაკეტის ზემოთ ჩამოთვლილი ყველა შესაძლებლობა;
- გადარიცხვები, როგორც საკუთარ ანგარიშებს შორის, ასევე, ნებისმიერი მიმართულებით;
- კომუნალური, საკომუნიკაციო და სხვა სახის გადახდებს;
- შაბლონების შექმნას და რედაქტირებას;
- სხვადასხვა ტრანზაქციების მომზადებას, შენახვას და ერთდროულად გადარიცხვას;
- ძიების ფუნქციას უკვე გადარიცხულ ტრანზაქციებს შორის;
- ავტომატური გადახდებისა და გადარიცხვების დავალებას;
- ანაბრებზე დაგროვების სქემის ჩართვას;
- თანხის კონვერტაციას;
- მიმოწერით ბანკისთვის დავალების მიცემას, შეტყობინების გაგზავნას და მიღებას;
- სმს ბანკინგის რეგისტრაციას;
- დამატებითი მომხმარებლების რეგისტრაციას და მათთვის შესაბამისი უფლებების მინიჭებას;

**ისარგებლეთ ბაზისბანკის განახლებული ინტერნეტბანკით და აწარმოეთ საბანკო ოპერაციები დისტანციურად!**